# სამართალმცოდნეობა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **სამართალმცოდნეობა** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Laws (LLB) |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 240 |
| **სწავლების ენა:** | ქართული |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგნად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.<br><br>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** | • შესძინოს სიღრმისეული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლებრივი სისტემების, |

| | |
|---|---|
| | ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, რომის სამართლის წყაროებისა და ძირითადი ინსტიტუტების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების, მათ შორის სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, ძირითადი მახასიათებლებისა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზების თაობაზე;<br>● გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამის გზების შემუშავების, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერითი ფორმით საკუთარი პოზიციების/დასკვნების დასაბუთების უნარი;<br>● გამოუმუშავოს იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო და სამართალშეფარდებითი აქტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;<br>● გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და სხვა იურიდიული ამოცანების გადაწყვეტის უნარი;<br>● გამოუმუშავოს სამართლებრივი დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სამართლებრივი დავის გადაწყვეტის გზების შემუშავების, ასევე დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით საკუთარი პოზიციების დასაბუთების უნარი;<br>● გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვითა და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;<br>● გამოუმუშავოს საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. |

| | | |
|---|---|---|
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება** | 1. აღწერს:<br>● სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს; განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე რომის სამართლის წყაროებსა და ძირითად ინსტიტუტებს;<br>● სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს; განსაზღვრავს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;<br>● კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სანივთო სამართლის სისტემას, |

| | | |
|---|---|---|
| | | პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალის მიზნებს, ამოცანებს, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებებს, შრომის სამართლის წყაროებს, შრომითი ურთიერთობის პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო დავების წარმოშობის მიზეზებს სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, საკორპორაციო სამართლის სისტემას და წყაროების, ქართული საკორპორაციო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმებსა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს;<br>● დანაშაულის არსს, სახეებს, სასჯელის სისტემას; განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;<br>● საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს; განსაზღვრავს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს, სისტემას, წყაროებს, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების ფუნქციებს;<br>● იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) პროფესიული საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს. |
| | **უნარი** | 2. ამოიცნობს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;<br>3. იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, ზეპირი და წერითი ფორმით; |

| | | |
|---|---|---|
| | | 4. შეიმუშავებს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს;<br>5. შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;<br>6. კრიტიკულად აანალიზებს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს, აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებებს და წყვეტს სხვა იურიდიულ ამოცანებს; მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.<br>7. შეიმუშავებს სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის გზებს, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს, დავის/საქმის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. |
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | 8. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებების, სამართლებრივი ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;<br>9. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის" პრინციპის დაცვით. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | სტუდენტი შეიძლება შეფასდეს ზეპირად და/ან წერილობით. მოსწავლის ცოდნა და უნარები ფასდება 100 ქულიანი შეფასების სისტემით. იგი შედგება შუალედური და საბოლოო შეფასებებისგან - მაქსიმუმ 60 ქულა შუალედურ შეფასებებში და მაქსიმუმ 40 ქულა საბოლოო შეფასებაში. | |

შეფასების სისტემა იძლევა საშუალებას:

a) ხუთი ტიპის დადებითი შეფასება

1) (A) ფრიადი - 91 -100 ქულა.

2) (ბ) ძალიან კარგი - 81-90 ქულა

3) (C) კარგი - 71-80 ქულა

4) (დ) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა

5) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება

1) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

2) (ვ) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების 51%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.<br><br>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:<br><br>● საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;<br>● სასამართლო ორგანოებში;<br>● სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;<br>● საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;<br>● კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;<br>● არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცავ ორგანიზაციებში;<br><br>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო ან საარბიტრაჟო საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br><br>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.<br><br>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. |

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით: I ს.წ. I სემესტრი | I ს.წ. II სემესტრი | II ს.წ. III სემესტრი | II ს.წ. IV სემესტრი | III ს.წ. V სემესტრი | III ს.წ. VI სემესტრი | IV ს.წ. VII სემესტრი | IV ს.წ. VIII სემესტრი | საათების განაწილება: ლექცია/კონსულტაცია | საკონტაქტო: სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | საკონტაქტო: შუალედური გამოცდა(ა/ები) | საკონტაქტო: დასკვნითი გამოცდა | საკონტაქტო: სულ საკონტაქტო | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები | საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები | | 10 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | კომპიუტერული უნარები | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2. | წერითი და ზეპირი კომუნიკაციების უნარები | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| II | ძირითადი სპეციალობის კომპონენტი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.1 | სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი | | 165 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.1.1. | ინგლისური ენის კომპონენტი | | 10 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B1) | სავალდებულო | 5 | 5 | | 5 | | | | | | 30 | 28 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |
| 2. | დარგობრივი ინგლისური ენა -სამართალი (B2) | სავალდებულო | 5 | | 5 | | 5 | | | | | 27 | 31 | 2 | 2 | 62 | 63 | 125 | 4 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.1.2. | საბაზისო სასწავლო კურსები | | 15 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | შესავალი სამართალმცოდნეობაში | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 2. | ქართული სამართლის ისტორია | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 3. | რომის სამართლის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2.1.3. | საჯარო სამართლის მოდული | | 45 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 2. | საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 3. | ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 4. | ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა) | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 5. | ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 6. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2.5 |
| 7. | ევროკავშირის სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 8. | საკონსტიტუციო მართლმსაჯულება | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 9. | ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2.1.4. | კერძო სამართლის მოდული | | 50 | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შესავალი სამოქალაქო სამართალში | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2. | სანივთო სამართალი | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 3. | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 4. | სახელშეკრულებო სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 5. | კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 6. | სამოქალაქო საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი) | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 7. | საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 8. | შრომის სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 9. | სამოქალაქო საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი) | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 10. | საკორპორაციო სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2.1.5. | სისხლის სამართლის მოდული | | 25 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2. | სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 3. | სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები) | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | სისხლის საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი) | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 5. | სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი) | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2.1.6. | ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი კომპონენტი | | 20 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | იურიდიულ პროფესიათა ეთიკა | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | | 25 | 16 | 2 | 2 | 45 | 80 | 125 | 3 |
| 2. | პრაქტიკუმი საჯარო სამართალში | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 28 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 | 3 |
| 3. | პრაქტიკუმი კერძო სამართალში | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 27 | 2 | 2 | 45 | 80 | 125 | 3 |
| 4. | პრაქტიკუმი სისხლის სამართალში | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | | 15 | 27 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 | 3 |
| 2.2. | სპეციალობის არჩევითი კომპონენტი | | 45 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.2.1. | საბაზისო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2. | სამართლის მეთოდები | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 3. | სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2.2.2. | საჯარო სამართლის მოდული | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | საარჩევნო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 88 | 125 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | სამოხელეო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 3. | საკანონმდებლო ტექნიკა | არჩევითი | 5 | | | 5 | | | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 4. | საგადასახადო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 5. | სააღსრულებო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 6. | ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი | არჩევითი | 5 | | | 5 | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 7. | პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 8. | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა საჯარო სამართალში | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 9. | საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი | არჩევითი | 5 | | | | 5 | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2.2.2. | საერთაშორისო სამართლის მოდული | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | დიპლომატიური და საკონსულო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2. | საერთაშორისო საჰაერო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 3. | საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 4. | საერთაშორისო სისხლის სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 5. | ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი | | 5 | | | | | 5 | | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 2.2.3. | კერძო სამართლის მოდული | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გადახდისუუნარობის სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2. | საერთაშორისო კერძო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 3. | ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 4. | საბანკო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 5. | სადაზღვევო სამართლი | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 6. | სანოტარო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 7. | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 10 | 18 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 8. | დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 9. | საინვესტიციო სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2.2.4. | სისხლის სამართლის მოდული | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | სასჯელის შეფარდება | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2. | კრიმინოლოგია | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 3. | სასჯელაღსრულებითი სამართალი | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 4. | ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | | 26 | 7 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 5. | კრიმინალისტიკა (დანაშაულის გახსნის მეთოდიკა) | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 27 | 6 | 2 | 2 | 37 | 88 | 125 | 2,5 |
| 6. | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. | კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | | | 10 | 18 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 8. | დაცვის ხელოვნება | არჩევითი | 5 | | | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 | 2 |
| 2.2.5. | ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი კომპონენტი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | საბაკალავრო ნაშრომი | არჩევითი | 10 | | | | | | | | | | | | | 30 | 220 | 250 | |
| 2. | პრაქტიკული სამართლის კლინიკა | არჩევითი | 10 | | | | | | | | | | | | | 121 | 129 | 250 | |
| III | თავისუფალი კომპონენტი | არჩევითი | 20 | 20 | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ: | | | 240 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | | | | | | | | |

# საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | საჯარო მმართველობის ბაკალავრი (Bachelor of Public Administration) |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 180 ECTS კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ქართული |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ამასთან, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგნად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში ან სამოქალაქო განათლებაში.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.<br><br>საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:<br><br>• შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მოწყობის, საჯარო მმართველობის კონცეპტუალური საფუძვლების, მისი ორგანიზების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო სექტორში პოლიტიკის წარმოების, სტრატეგიული მართვის პროცესის და კოორდინაციის მექანიზმების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ევროინტეგრაციის, საჯარო პოლიტიკის ანალიზის, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ციკლისა და მისი სტანდარტების, კარიერული და პროფესიული განვითარების პრინციპების, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა სტატუსისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის, საჯარო სერვისების წარმოებისა და მიწოდების სტანდარტების, ინოვაციებით მართვისა და ციფრული მმართველობის ინსტრუმენტების, საჯარო ფინანსების მართვის, კონტროლის პრინციპებისა და მექანიზმების, ცენტრალურ, ადგილობრივ და ორგანიზაციულ დონეზე ბიუჯეტის მართვის სტანდარტების, ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის მართვის მექანიზმების, ასევე „კარგი მმართველობის“ სტანდარტებისა და მათი განხორციელების ინსტრუმენტების შესახებ;<br>• გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების იდენტიფიცირების და, მათი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით, გადაჭრის გზების შემუშავებაში მონაწილეობის მიღების უნარი;<br>• გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროში საჭირო ინფორმაციის მოძიების, მონაცემთა დამუშავების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის), ასევე შესაბამისი ანგარიშებისა და დოკუმენტების შემუშავების უნარი;<br>• გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პროცესების ანალიზის, საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენის უნარი;<br>• გამოუმუშავოს პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვის, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების, საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების, საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობის, ასევე საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელების უნარი. |

| | | |
|---|---|---|
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:<br><br>1. აღწერს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს, პრინციპებს, დარგის განვითარების ეტაპებს, ტენდენციებს, საჯარო მმართველობის ინსტიტუციურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის ძირითად პრინციპებს, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, მმართველობითი პროცესის ინოვაციურ და ეფექტურ ინსტრუმენტებს, შედეგზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისთვის საჭირო მექანიზმებს, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპს, ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლებს, საჯარო სექტორში პოლიტიკის წარმოებისა და კოორდინაციის მექანიზმებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტებს, კარიერული და პროფესიული განვითარების პრინციპებს, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, საჯარო სერვისების წარმოებისა და მიწოდების სტანდარტებს, საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლებს, ბიუჯეტის მართვის სტანდარტებს, ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის მართვის მექანიზმებს, ასევე „კარგი მმართველობის“ სტანდარტებსა და მათი განხორციელების ინსტრუმენტებს;<br>2. ხსნის საჯარო მმართველობის პროცესების სპეციფიკას, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვისა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობას. |
| | **უნარი** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: |

| | | |
|---|---|---|
| | | 3. ამოიცნობს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით, შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს;<br>4. მოიძიებს და განმარტავს საჭირო ინფორმაციას, ამუშავებს მონაცემებს და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს (ნაშრომს), წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ასევე შესაბამის ანგარიშებსა და დოკუმენტებს;<br>5. აანალიზებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პროცესებს, განწყენებულ მონაცემებს, სიტუაციებს, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;<br>6. მსჯელობს საკუთარი იდეების, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. |
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:<br><br>7. წარმართავს საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე, ავლენს ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.<br>8. საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემების გადაჭრისას მოქმედებს კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობითა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, იცავს ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებს, შესაბამისი |

| | | |
|---|---|---|
| | | ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მონაწილეობისას პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებებს. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | სტუდენტი შეიძლება შეფასდეს ზეპირად და/ან წერილობით. მოსწავლის ცოდნა და უნარები ფასდება 100 ქულიანი შეფასების სისტემით. იგი შედგება შუალედური და საბოლოო შეფასებებისგან - მაქსიმუმ 60 ქულა შუალედურ შეფასებებში და მაქსიმუმ 40 ქულა საბოლოო შეფასებაში.<br>შეფასების სისტემა იძლევა საშუალებას:<br>a) ხუთი ტიპის დადებითი შეფასება<br>1) (A) ფრიადი - 91 -100 ქულა.<br>2) (ბ) ძალიან კარგი - 81-90 ქულა<br>3) (C) კარგი - 71-80 ქულა<br>4) (დ) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა<br>5) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება<br>1) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>2) (ვ) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების 51%.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. | |

| | |
|---|---|
| | დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით. |
| **დასაქმების სფერო** | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო სექტორში, სადაც მოითხოვება საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. კერძოდ:<br><br>• საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციულ რგოლებში;<br>• ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში;<br>• საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;<br>• შესაბამისი პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში.<br>საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.<br><br>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით. |

| # | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით | | | | | | საათების განაწილება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | III ს.წ. | | საკონტაქტო | | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | ლექცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | | |
| **I.** | **თავისუფალი კომპონენტი** | | **30** | | | | | | | | | | | | | |
| **1.1.** | **სავალდებულო სასწავლო კურსები** | | **20** | 15 | 5 | | | | | | | | | | | |
| 1. | კომპიუტერული უნარები | სავალდებულო | **5** | 5 | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2. | აკადემიური წერა | სავალდებულო | **5** | 5 | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 3. | ზოგადი ინგლისური B2.1 | სავალდებულო | **5** | 5 | | | | | | 56 | | 2 | 4 | 63 | 62 | 125 |
| 4. | ზოგადი ინგლისური B2.2 | სავალდებულო | **5** | | 5 | | | | | 56 | | 2 | 4 | 63 | 62 | 125 |
| **1.2** | **არჩევითი სასწავლო კურსები** | | **10** | | 10 | | | | | | | | | | | |
| 1. | სოციოლოგია | არჩევითი | **5** | | **5** | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2. | შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში | არჩევითი | **5** | | **5** | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3. | შესავალი ფსიქოლოგიაში | არჩევითი | **5** | | **5** | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 4. | სამართლის საფუძვლები | არჩევითი | **5** | | **5** | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| **II.** | **ძირითადი სწავლების სფერო** | | **150** | | | | | | | | | | | | | |
| **2.1.** | **სავალდებულო სასწავლო კურსები** | | **135** | 15 | 15 | 30 | 30 | 25 | 20 | | | | | | | |
| 1. | შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში | სავალდებულო | **5** | 5 | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2. | შესავალი საჯარო მმართველობაში | სავალდებულო | **5** | 5 | | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 3. | ეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | **5** | 5 | | | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 4. | საქართველოს სახელმწიფო მოწყობის სამართალი | სავალდებულო | **5** | | 5 | | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 5 | მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | **5** | | 5 | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 6 | საჯარო პოლიტიკა | სავალდებულო | **5** | | 5 | | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 7 | პროფესიული ინგლისური ენა - 1 | სავალდებულო | **5** | | | **5** | | | | 28 | 28 | 2 | 2 | 60 | 65 | 125 |
| 8 | ადმინისტრაციული სამართალი | სავალდებულო | **5** | | | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 9 | ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები | სავალდებულო | **5** | | | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 10 | საჯარო ფინანსები და ბიუჯეტი | სავალდებულო | **5** | | | **5** | | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 11 | ადამიანური რესურსების მართვა | სავალდებულო | **5** | | | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 12 | სტრატეგიული მენეჯმენტი | სავალდებულო | **5** | | | **5** | | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 13 | პროფესიული ინგლისური ენა - 2 | სავალდებულო | **5** | | | | **5** | | | 28 | 28 | 2 | 2 | 60 | 65 | 125 |
| 14 | ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა | სავალდებულო | **5** | | | | **5** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 15 | საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა | სავალდებულო | **5** | | | | **5** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 16 | ადგილობრივი თვითმმართველობა | სავალდებულო | **5** | | | | **5** | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | ინოვაციური მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 18 | სამოხელეო სამართალი | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 19 | ევროკავშირის სამართალი და ევროინტეგრაცია | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 20 | ინტერესთა შეუთავსებლობის, ეთიკისა და ქცევის წესები საჯარო სამსახურში | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 21 | კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 22 | საჯარო სერვისების მენეჯმენტი და ელექტრონული მმართველობა | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 23 | სტრატეგიული კომუნიკაციები | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 24 | საჯარო გამოსვლები | სავალდებულო | 3 | | | | | | 3 | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 43 | 75 |
| 25 | სასწავლო პრაქტიკა | სავალდებულო | 7 | | | | | | 7 | | | | | 150 | 25 | 175 |
| 26 | საბაკალავრო ნაშრომი | სავალდებულო | 10 | | | | | | 10 | | | | | 30 | 220 | 250 |
| **2.2** | **არჩევითი სასწავლო კურსები** | | **15** | | | | | **5** | **10** | | | | | | | |
| 1. | აუდიტი საჯარო მმართველობაში | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2. | სტატისტიკა საჯარო მმართველობაში | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | 28 | 14 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 3. | რისკების მართვა საჯარო სამსახურში | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 4. | საინფორმაციო უსაფრთხოება | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 5 | სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 6 | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა | არჩევითი | 5 | | | | | 5 | | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 7 | შესავალი ჯანდაცვის პოლიტიკაში | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 8 | შესავალი განათლების პოლიტიკაში | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 9 | სოციალური პოლიტიკა | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | მოლაპარაკებების ხელოვნება და კონფლიქტების მართვა | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 11 | ადმინისტრაციული აქტის შედგენის მეთოდიკა (პრაქტიკული კურსი) | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 12 | სახელმწიფო შესყიდვები და სახელმწიფო ქონების მართვა | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 13 | სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 14 | მონიტორინგი და შეფასება საჯარო სამსახურში | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 15 | გლობალური სამყარო და თანამედროვე გამოწვევები | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 16 | გადასახადები და საგადასახადო სისტემა | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 17 | მარკეტინგი საჯარო სექტორში | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 18 | პროექტის მენეჯმენტი | არჩევითი | **5** | | | | | | **5** | 14 | 14 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| | **სულ** | | **180** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | | | | | | | |

# საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალვრი/Bachelor of Public Relations |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 180 კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ქართული |
